

2019 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს „ლკონსი“

## სარჩევი:

### ფინანსური ანგარიშგება

|                                                  |      |
|--------------------------------------------------|------|
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----         | 3    |
| საქმიანობის შედეგების ანგარიშგება -----          | 4    |
| საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება ----- | 5    |
| ახსნა-განმარტებითი შენიშვნები -----              | 6-13 |

შპს "ლკონსი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)

|                                            | შენიშვნა          | 2019             | 2018             |
|--------------------------------------------|-------------------|------------------|------------------|
| <b>აქტივები</b>                            |                   |                  |                  |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>               |                   |                  |                  |
| ძირითადი საშუალებები                       | <a href="#">4</a> | 2 194            | 2 823            |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები                 |                   |                  |                  |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>           |                   | <b>2 194</b>     | <b>2 823</b>     |
| <b>მოკლევადიანი აქტივები</b>               |                   |                  |                  |
| ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები | <a href="#">6</a> | 899 206          | 791 513          |
| სავაჭრო მოთხოვნები                         | <a href="#">7</a> | 170 862          | 383 550          |
| გადახდილი ავანსები                         |                   | 9 315            | 21 585           |
| <b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>           |                   | <b>1 079 383</b> | <b>1 196 648</b> |
| <b>სულ აქტივები</b>                        |                   | <b>1 081 577</b> | <b>1 199 471</b> |
| <b>მთლიანი კაპიტალი</b>                    |                   |                  |                  |
| საწესდებო კაპიტალი                         |                   | 0                | 0                |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)  |                   | 1 081 577        | 1 199 471        |
| გადაფასების რეზერვი                        |                   |                  |                  |
| <b>სულ კაპიტალი</b>                        |                   | <b>1 081 577</b> | <b>1 199 471</b> |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>      |                   | <b>-</b>         | <b>-</b>         |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>          |                   |                  |                  |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები | <a href="#">9</a> | -                | -                |
| <b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>      |                   | <b>-</b>         | <b>-</b>         |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                   |                   | <b>-</b>         | <b>-</b>         |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>       |                   | <b>1 081 577</b> | <b>1 199 471</b> |

დირექტორი : გიორგი ჟღენტაძე

მთავარი ბუღალტერი : რუსუდან გელოვანიშვილი

## შპს " ლკონსი "

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება  
2019 წლის დასრულებული წლისათვის  
(ლარში)

| შენიშვნა                                | შენიშვნა           | 2019             |
|-----------------------------------------|--------------------|------------------|
| ამონაგები                               | <a href="#">12</a> | 6 938 028        |
| ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი         | <a href="#">16</a> | (676 702)        |
| მიწოდების და მარკეტინგის<br>დანახარჯები | <a href="#">14</a> | (3 502 656)      |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                |                    | <b>2 758 670</b> |
| ფინანსური შემოსავალი                    | <a href="#">15</a> | 1 475            |
| წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება           |                    | 111 090          |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>               |                    | <b>2 871 235</b> |
| მოგების გადასახადი                      | <a href="#">18</a> | -                |
| <b>წმინდა მოგება</b>                    |                    | <b>2 871 235</b> |
| <b>სხვა სრული შემოსავალი:</b>           |                    |                  |
| <b>მთლიანი სრული შემოსავალი</b>         |                    | <b>2 871 235</b> |

დირექტორი : გიორგი ჟღენტი

მთავარი ბუღალტერი : რუსუდან გელოვნიშვილი

შპს "ლკონსი"

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება  
(ლარში)

|                               | საწესდებო<br>კაპიტალი | გადაფასების<br>რეზერვი | გაუნაწილებელი<br>მოგება | მთლიანი კაპიტალი |
|-------------------------------|-----------------------|------------------------|-------------------------|------------------|
| <b>2018 წლის 31 დეკემბერი</b> | <b>0</b>              | <b>0</b>               | <b>1 199 471</b>        | <b>1 199 471</b> |
| წმინდა მოგება                 | -                     | -                      | 2 871 235               | <b>2 871 235</b> |
| გაცემული დივიდენდი            | -                     | -                      | 2 989 129               | <b>2 989 129</b> |
| <b>2019 წლის 31 დეკემბერი</b> | <b>0</b>              | <b>0</b>               | <b>1 081 577</b>        | <b>1 081 577</b> |

## 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ლკონსი“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2012 წლის 06 სექტემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 404957025.

კომპანიის იურიდიული მისამართია : ქ.თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონი, ს. ცინცაძის ქ. # 32, ბ. 23, ფაქტიური მისამართი : ქ.თბილისი, უნივერსიტეტის ქ. # 19.

კომპანია დღე-ის გადამხდელად რეგისტრირებულია 2012 წლიდან.

კომპანიის ძირითად საქმიანობას მშენებლობა, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა.

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია ფიზიკური პირი გიორგი ჟღენტი.

კომპანიის დირექტორია გიორგი ჟღენტი.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის და 1 იანვრისთვის შეადგენს 0 ლარს.

2019 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრისთვის კომპანიის თანამშრომლების რაოდენობა იყო 6 ადამიანი.

## 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

### მომზადების საფუძველები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, საწარმო აკმაყოფილებს ფუნქციონირებადი საწარმოს მოთხოვნებს.

### მსს ფასს სტანდარტების პირველადი გამოყენება

კომპანია მსს ფასს სტანდარტებზე გადავიდა 2018 წლის 1 იანვარს. კომპანიის წარადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2019 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით. ასევე 2019 წლის საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას და 2019 წლის კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგებას, ასევე შესაბამის ახსნა- განმარტებით შენიშვნებს.

### შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

## (ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2019 წლის 31 დეკემბერს და 2018 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

### საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

| პერიოდი                          | დოლარი | ევრო   |
|----------------------------------|--------|--------|
| კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის | 2,8677 | 3,2095 |
| კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის | 2,6766 | 3,0701 |

## ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები:

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

### ტერმინების განმარტებები:

#### ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

#### სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

#### მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

მარაგების თვითღირებულება გამოითვლება FIFO მეთოდით.

## ძირითადი საშუალებები

### თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს. ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

### ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

### ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება **წრფივი ცვეთის მეთოდით**, სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით; ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

| ძირითადი საშუალების ჯგუფი  | სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები) |
|----------------------------|--------------------------------------|
| შენობები                   | 30 წელი                              |
| მანქანა დანადგარები        | 10-15 წელი                           |
| საოფისე ავეჯი და ინვენტარი | 5-7 წელი                             |
| კომპიუტერული ტექნიკა       | 5 წელი                               |

### არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენენ სააღრიცხვო პროგრამები (7 წლიანი) სასარგებლო მომსახურების ვადით). არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

### აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივებისა გატესტვა გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება აქტივის საბალანსო ღირებულება, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

### სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

## **გადაფარვა**

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

## **დაბეგვრა**

საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან. კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

## **ამონაგების აღიარება**

საქონლის/მომსახურების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის/მომსახურების ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია/მომსახურება გადაეცემა /გაეწევა მყიდველს. თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

## **ხარჯების აღიარება**

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის /მომსახურების რეალიზაციასთან.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

## **სახელფასო განაცემები**

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

## **საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები**

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

## ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

## მნიშვნელოვანი საანარიცხო შეფასებები და გადაწყვეტილებები

• **ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები** - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლობის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. საანარიცხო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

• **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

• **სასამართლო დავები** - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმი არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა ფინანსურ ინფორმაციაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. კომპანია განიხილავს ყოველ მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანია თუ მოპასუხე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური ზარალის დონე, იურისტების მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი შემთხვევებიდან და სხვა. 2019 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონია სასამართლო დავები.

## შენიშვნა 6 - ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ლარში

2019 წლის 31  
დეკემბერი

2019 წლის  
1 იანვარი

|                 |                |                |
|-----------------|----------------|----------------|
| ფული სალაროში   | 15             | 831            |
| ფული საბანკო    |                |                |
| ანგარიშებზე     | 899 191        | 790 682        |
| <b>სულ ჯამი</b> | <b>899 206</b> | <b>791 513</b> |

#### შენიშვნა -4

##### ძირითადი საშუალებები

|                              | შენიშვნა -<br>ნაგებობები | მანქანა-<br>დანადგარები | ავიჯი და<br>სხვა<br>ინვენტარი | კომპიუტერული<br>ტექნიკა | ჯამი  |
|------------------------------|--------------------------|-------------------------|-------------------------------|-------------------------|-------|
| ლარში                        |                          |                         |                               |                         |       |
| 2018 წლის ბოლოს მდგომარეობით |                          | 418                     | 1 464                         | 2 792                   | 4 674 |
| შესყიდვა                     |                          | 636                     | 203                           | -                       | 839   |
| 2019 წლის ბოლოს მდგომარეობით |                          | 1 054                   | 1 667                         | 2 792                   | 5 513 |

##### დაგროვილი ცვეთა

|                                |     |       |       |       |
|--------------------------------|-----|-------|-------|-------|
| 2018 წლის ბოლოს მდგომარეობით   | 149 | 616   | 1 087 | 1 852 |
| ცვეთის ხარჯი                   | 228 | 420   | 820   | 1 468 |
| გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა | -   | -     | -     | -     |
| 2019 წლის ბოლოს მდგომარეობით   | 377 | 1 036 | 1 907 | 3 220 |

##### საბალანსო ღირებულება

|                 |     |     |       |       |
|-----------------|-----|-----|-------|-------|
| 2018 წლის ბოლოს | 269 | 849 | 1 705 | 2 823 |
| 2019 წლის ბოლოს | 677 | 632 | 885   | 3 662 |

#### შენიშვნა -7

სავაჭრო და სხვა  
მოკლევადიანი  
მოთხოვნები  
ლარში

|                                  | 31.12.2019     | 31.12.2018     |
|----------------------------------|----------------|----------------|
| სავაჭრო დებიტორული დავალიანებები | 170 862        | 383 550        |
|                                  | <b>170 862</b> | <b>383 550</b> |

შენიშვნა 9 - სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

| ლარში                 | 2019 წლის 31<br>დეკემბერი | 2019 წლის 1<br>იანვარი |
|-----------------------|---------------------------|------------------------|
| სავაჭრო ვალდებულებები | -                         | -                      |
| <b>სულ ჯამი</b>       | <b>-</b>                  | <b>-</b>               |

შენიშვნა 12 - ამონაგები

| ლარში                   | 2019 წლის 31<br>დეკემბერი |
|-------------------------|---------------------------|
| მომსახურების რეალიზაცია | 6 938 028                 |
| <b>სულ ჯამი</b>         | <b>6 938 028</b>          |

შენიშვნა 16- ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ლარში

|                            | 2019 წლის<br>31 დეკემბერი |
|----------------------------|---------------------------|
| შრომის ანაზღაურება         | (618414)                  |
| დაზღვევის ხარჯი            | (1192)                    |
| ცვეთა და ამორტიზაცია       | (1468)                    |
| ბანკის მომსახურება         | (26361)                   |
| წარმომადგენლობითი ხარჯი    | (163)                     |
| იჯარის ხარჯი               | (21261)                   |
| კომუნიკაციის ხარჯი         | (564)                     |
| სხვა ადმინისტრაციული ხარჯი | (7179)                    |
| <b>სულ ჯამი</b>            | <b>(676 702)</b>          |

შენიშვნა-14

ლარში

მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები

რეალიზაციის დანახარჯები

| 2019 წლის 31 დეკემბერი |
|------------------------|
| (3 502 656)            |
| <b>(3 502 656)</b>     |

#### შენიშვნა 15 - ფინანსური შემოსავალი

| ლარი                      | 2019 წლის 31<br>დეკემბერი |
|---------------------------|---------------------------|
| სხვა ფინანსური შემოსავალი | 1475                      |
| <b>სულ ჯამი</b>           | <b>1475</b>               |

კომპანია ფინანსური შემოსავლის აღიარებას ახდენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით;

#### პირობითი ვალდებულება

კომპანიის წინააღმდეგ არანაირი სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს;  
**საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები**

2020 წელს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებს ადგილი არ ქონია;

#### ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია 2020 წლის 29 სექტემბრით.

დირექტორი გიორგი ჟღენტო

შპს "ლკონსი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

|                                            | შენიშვნა | 2019             | 2018             |
|--------------------------------------------|----------|------------------|------------------|
| <b>აქტივები</b>                            |          |                  |                  |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>               |          |                  |                  |
| ძირითადი საშუალებები                       | 4        | 2 194            | 2 823            |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები                 |          |                  |                  |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>           |          | <b>2 194</b>     | <b>2 823</b>     |
| <b>მოკლევადიანი აქტივები</b>               |          |                  |                  |
| ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები | 6        | 899 206          | 791 513          |
| სავაჭრო მოთხოვნები                         | 7        | 170 862          | 383 550          |
| გადახდილი ავანსები                         |          | 9 315            | 21 585           |
| <b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>           |          | <b>1 079 383</b> | <b>1 196 648</b> |
| <b>სულ აქტივები</b>                        |          | <b>1 081 577</b> | <b>1 199 471</b> |
| <b>მთლიანი კაპიტალი</b>                    |          |                  |                  |
| საწესდებო კაპიტალი                         |          | 0                | 0                |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)  |          | 1 081 577        | 1 199 471        |
| გადაფასების რეზერვი                        |          |                  |                  |
| <b>სულ კაპიტალი</b>                        |          | <b>1 081 577</b> | <b>1 199 471</b> |
| <b>სულ გრძელვადიანი ვალდებულებები</b>      |          |                  |                  |
|                                            |          | -                | -                |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>          |          |                  |                  |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები | 9        | -                | -                |
| <b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>      |          | <b>-</b>         | <b>-</b>         |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                   |          | <b>-</b>         | <b>-</b>         |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>       |          | <b>1 081 577</b> | <b>1 199 471</b> |

დირექტორი :

გიორგი ჟღენტი

მთავარი ბუღალტერი :

რუსუდან გელოვნიშვილი



genti

შპს " ლკონსი "

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება  
2019 წლის დასრულებული წლისათვის  
(ლარში)

| შენიშვნა                                | შენიშვნა  | 2019        |
|-----------------------------------------|-----------|-------------|
| ამონაგები                               | <u>12</u> | 6 938 028   |
| ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი         | <u>16</u> | (676 702)   |
| მიწოდების და მარკეტინგის<br>დანახარჯები | <u>14</u> | (3 502 656) |
| საოპერაციო მოგება                       |           | 2 758 670   |
| ფინანსური შემოსავალი                    | <u>15</u> | 1 475       |
| წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება           |           | 111 090     |
| მოგება დაბეგვრამდე                      |           | 2 871 235   |
| მოგების გადასახადი                      | <u>18</u> | -           |
| წმინდა მოგება                           |           | 2 871 235   |
| სხვა სრული შემოსავალი:                  |           |             |
| მთლიანი სრული შემოსავალი                |           | 2 871 235   |

დირექტორი :

გიორგი ჟღენტი

მთავარი ბუღალტერი :

რუსუდან გელოვნიშვილი



გელოვნიშვილი